

Nino Dondoladze

ნინო დონდოლაძე

Batumi Shota Rustaveli State University

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Batumi

საქართველო, ბათუმი

Trope in Georgian and English Romantic Poets' Poems

ტროპი ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა ლექსებში

A trope can be an important characteristic feature of a poem. Tropes can reflect changes happening in the time, national characteristics and aesthetics of a literary movement. They can convey not only a poet's mood, but also part of his Weltanschauung. The aim of the article is to show essential characteristics of verbal structures of Romantic poetry and explore similarities and differences between tropes applied by Georgian and English Romantic poets.

The study of tropes is carried out mainly through Maia and Giorgi Natadze's theory of imagery. Tropes in poems by English and Georgian poets are analyzed and it is concluded that metaphors of the Georgian and English Romantic poets reflect aesthetics of the movement. Tropes differ in terms of "compactness," which is the result of national characteristics.

Keywords: trope, romanticism, aesthetics, Christian

საკვანძო სიტყვები: ტროპი, რომანტიზმი, ესთეტიკა, ქრისტიანული

ჩემი მიზანი არის ვაჩვენო თუ რა არსებითი ნიშანი ახასიათებს რომანტიკული მსოფლმხედველობის პოეზიის სიტყვიერ სტრუქტურას, რა განასხვავებს მას რეალისტური მსოფლმხედველობის, მათ შორის ხალხური ლექსის სიტყვიერი სტრუქტურისგან და მეორე, რა განსხვავებაა ამ მხრივ ერთიდაიგივე მსოფლმხედველობის სხვადასხვა ერის ავტორთა პოეზიაში. ეს განსხვავება კარგად უნდა ჩანდეს ტროპში და ამიტომ ერთმანეთს ვადარებ ტროპებს ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა პოეზიაში.

ტროპი პოეზიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ნებისმიერი სახის მეტაფორას განსაკუთრებული გავლენის მოხდენა შეუძლია მკითხველზე. როგორც ცნობილია, ესთეტიკური ფუნქციის გარდა მეტაფორას შეუძლია მრავალმხრივ ასახოს სამყარო, გამოხატოს მწერლის/პოეტის ინდივიდუალური თუ ეროვნული მახასიათებლები, ასახოს მიმდინარეობის ესთეტიკა, ეპოქალური ცვლილებები.

ტროპის მნიშვნელობა ბერძნულიდან მომდინარეობს, ნიშნავს ჩვეულებრივი მნიშვნელობიდან შემოტრიალებას იმისთვის, რომ შეიქმნას სემანტიკური, ლექსიკური „გადახვევა“ (Wales, 2014, გვ.162). რომან იაკობსონის განმარტებით, ტროპი, მეტაფორა, სემანტიკური პარალელიზმის შემცველი სიტყვა/ფრაზაა. ტროპში არსებულ პირველი და მეორე მნიშვნელობებს ზოგიერთი მსაზღვრელ საზღვრულს უწოდებს, ზოგჯერ „tenor“ (ის, რაც აღიწერება) და vehicle (სიტყვა, რომლის საშუალებითაც აღწერს) უწოდებენ ან უბრალოდ, პირველ და მეორე მნიშვნელობას. პირველი მნიშვნელობით ავტორი ხსნის მეორე მნიშვნელობას, პირველი მნიშვნელობა გამოხატულია, ითქმის,

მეორე იგულისხმება, დაფარულია. თუ მკითხველამდე ორივე მნიშვნელობა მიდის, მაშინ მკითხველი იგებს ავტორის სათქმელს.

აზროვნება მეტაფორულია. ზოგადად, აზროვნების პროცესში ადამიანი ერთ მოვლენას მეორესთან აკავშირებს მსგავსების საფუძველზე. რაც მისთვის ნაცნობია, იმის საშუალებით ცდილობს ახსნას უცნობი. ტროპშიც ხდება ერთი მნიშვნელობის მეორით დახასიათება. მეტაფორაში ავტორმა, შესაძლოა, ამხსნელად გამოიყენოს ისეთი მოვლენა, რაც მისთვის უფრო საინტერესო, ნაცნობი და გათავისებულია. როგორც მაია და გიორგი ნათაძეები თავიან სტატიაში „რა არის ტროპი და როგორ აისახება მის ცვლაში ეპოქების ცვლა“ აღნიშნავენ, ავტორი ამხსნელად ირჩევს იმ მოვლენას თუ საგანს, რაც მისთვის უფრო ახლოსაა და გასაგები და მოყავთ მაგალითები ქართველი, გერმანელი, რუსი, ინგლისელი, შოტლანდიელი ავტორების ლექსებიდან (1988, გვ. 227-229).

რომანტიკოსი და რეალისტი პოეტების ტროპებს შორის განსხვავების გამოსავლენად შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ნაწყვეტები რობერტ ბერნსის და რობერტ საუთის ლექსებიდან. რობერტ ბერნსი წერს: „*O my Luv'e's like a red, red rose / That's newly sprung in June / O my Luv'e is like the melody / That's sweetly play'd in tune*” (Burns, 2013). ნაწყვეტი რობერტ საუთის ლექსიდან „წმინდა მთა“: „*The violet there its modest perfume shed, / Like humble virtue, rather felt than seen*.” (1851, გვ. 766). ორივე ნაწყვეტში გამოყენებულია ტროპის ნაირსახეობა, შედარება. პირველ ლექსში რობერტ ბერნსი, ვისი პოეზიაც ხალხურ პოეზიასთანაა ახლოს და ფაქტიურად რეალიზმს მიეკუთვნება, თავისი გრძნობის შთამბეჭდავ ხატს ქმნის იმით, რომ ივნისის ახალგაშლილ წითელ ვარდს და მელოდიას ადარებს სიყვარულს. ვარდი მატერიალურია, ასევე მატერიალურია მელოდიაც, მას ემპირიული შეგრძნებით აღვიქვამთ. გრძნობა არის ელემენტი სულიერი სამყაროს. რობერტ ბერნსის ამ ტროპში პირველი მნიშვნელობა ფიზიკურია, მეორე-სულიერი. პოეტი გრძნობას ხსნის მატერიალური სამყაროს ელემენტით და ასე ეხმარება მკითხველს გაიგოს რა მშვენიერია მისი სიყვარული. ინგლისური რომანტიზმის წარმომადგენელ რობერტ საუთისთან პირიქით ხდება, ფიზიკური (ია და მისი სურნელი) დაზუსტებულია სულიერით, სათნოებით, რომელსაც პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, გრძნობით ჩაწვდები. ორივე პოეტის ლექსში ტროპის თავისებურება მიმდინარეობის ესთეტიკას უკავშირდება. რეალისტი მის გარეთ მყოფი სამყაროს ობიექტური დამკვირვებელი და შემფასებელია და ამიტომ მატერიალურის საშუალებით ხსნის მოვლენას. რომანტიკოსი ემოციას აკვირდება და ესაა მისთვის მნიშვნელოვანი (უილიამ უორდსვორთის ცნობილი რომანტიზმის ფორმულა „ლირიკული ბალადების“ შესავალში გამოხატავს რომანტიზმის ესთეტიკის ამ არსებით მახასიათებელს: „*Poetry is the spontaneous overflow of powerful feelings: it takes its origins from emotion recollected in tranquillity*” (1991, გვ. 251)). მოკლედ რომ ვთქვათ, რომანტიკოსებში დამახასიათებელი სამყაროს ემოციური აღქმა ვლინდება ტროპში იმით, რომ ფიზიკურის ახსნა, დაზუსტება. ხდება სულიერით, ადამიანის სულის თვისებით.

ამგვარი ტროპის (როცა ფიზიკური ახსნილია სულიერით, ადამიანის სულის მოძრაობით, ემოციით) ნიმუშია ბაირონის ლექსში „ჭექა-ქუხილი ალპებში“: „*O night, / And storm, and darkness, ye are wondrous strong, / Yet lovely in your strength, as is the light / Of a dark eye in woman!*” (2024) და იგივე ლექსშია: „*...where the swift Rhone cleaves his way between / Heights which appear as lovers who have parted / In hate, whose mining depths so intervene, / That they can meet no more, though broken-hearted; / Though in their souls, which thus each other thwarted, / Love was the very root of the fond rage...*” (2024). ასეთივე ტროპის მაგალითია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსშიც „შემოღამება მთაწმინდაზედ“: „*გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო მხურვალე ლოცვით მიქანცებული / მას ჰგავდა მთვარე ნაზად მთარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული!*” (1978, გვ. 172). მსგავსი მაგალითია გაზვიადების ინგლისელი პოსტრომანტიკოსი პოეტის ელიზაბთ ბარეთ ბრაუნინგის 43-ე სონეტში („მათქმევინე როგორ მიყვარხარ“ . . .): „*I love thee to the depth and breadth and height / My soul can reach, when feeling out of sight / For the ends of being and ideal grace*” (2024).

ტროპები, რომლებშიც ფიზიკურის დაზუსტება ხდება სულიერით, გვხვდება სხვადასხვა ქვეყნების რომანტიკოსების პოეზიაში. ეს ტროპები რომანტიკული პოეზიის მარკერია და მომდინარეობს რომანტიზმის ესთეტიკიდან. მათი არსებობა არის არსებითი მსგავსება ქართულ და ინგლისელ რომანტიკოსთა ტროპებს შორის. თუმცა არსებობს სხვა ტიპის მსგავსებებიც.

ალ. ჭავჭავაძის ლექსში „კავკასია“ ფიზიკურის ახსნა ხდება რელიგიურით: „*კავკას, მათ მათ შორის მხოლოდ უცვალელებელი, /ზოგთა ჰმუსრავს, ზოგთ ჰბადებს ვით ღმერთი მბრძანებელი*“ (1978, გვ. 63). აქ ხდება ზებუნებრივით, სულიერით დაზუსტება, რაც ზოგადად ახასიათებს რომანტიკოსების პოეზიას. ქრისტიანული ხედვა ჩანს სხვადასხვა ქვეყნის რომანტიკოსთა მიერ შექმნილ ხატებში. თუმცა ეს (რელიგიური პლანი) მხოლოდ რომანტიკოსთა ესთეტიკის მანიშნებელი არ არის და ნებისმიერ მიმდინარეობის ავტორთან გვხვდება.

ბუნებას დიდი ადგილი უჭირავს ნებისმიერი რომანტიკოსის შემოქმედებაში—ერთ-ერთი მსგავსება ქართულ და ინგლისელ რომანტიკოსების ტროპებს შორის არის ის, რომ მათ პოეზიაში უხვად გვხვდება გაპიროვნება. გაპიროვნება თავისთავად რომანტიკულია, რეალისტ პოეტთან იშვიათად იპოვი, პრაქტიკულად არ გვხვდება. მაგალითად, ალ. პუშკინის პოეზიას, რომელიც რეალისტურია, საერთოდ არ ახასიათებს ბუნების გაცოცხლება და ამიტომ მის ლექსებში არ არის გაპიროვნება. როცა ბუნებაზე საუბრობს, რომანტიკოსი პოეტი მას, როგორც ცოცხალს ისე აღიქვამს და გაპიროვნების სიმრავლე ამ მსოფლმხედველბრივ მომენტიტაა განპირობებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ რომანტიკოსების ლექსებში ხშირად გვხვდება გაპიროვნების ნაირსახეობა – *ტროპული მიმართვა* (რასაც ზოგჯერ კრიტიკულ ლიტერატურაში აპოსტროფს უწოდებენ). ამგვარი ტროპული მიმართვები გვხვდება სხვადასხვა ეროვნების რომანტიკოსის ლექსში: „*ვინ იცის, მტკვარო, ვისთვის რას იტყვი*“ (ბარათაშვილი, 1978, გვ.176), „*მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო*“ (ბარათაშვილი, 1978, გვ. 172), „*Thou hast a voice, great Mountain*“ (Shelley, 2024); „*Thou too, hoar Mount!*“ (Coleridge, 2024). ლირიკული გმირი ხშირად ბუნების ცალკეულ ელემენტებს მიმართავს, როგორც პირისპირ მდგომ მოსაუბრეს, იმავე საზოგადოების წევრს, რომელსაც თავად ეკუთვნის. ტროპული მიმართვის გამოყენება უნდა მომდინარეობდეს რომანტიკოსთა შეხედულებიდან, რომ ორივეს, ადამიანსა და ბუნების ნებისმიერ ელემენტს აქვს ერთნაირი გრძობა, ერთნაირი განცდა. რომანტიკოსისთვის გაპიროვნებული ბუნება და ადამიანი ერთ სოციუმს ქმნის, ბუნების სხვადასხვა ელემენტი ისეთივე წევრია საზოგადოების, როგორც ადამიანი.

რომანტიკოსების. როგორც ქრისტიანული სამყაროს წარმომდგენლების პოეზიაში, როგორც უკვე ავლინებ, ბუნებრივია, აისახა რელიგიური ყოფა. ქართულ და ინგლისელ რომანტიკოსებთან ზოგჯერ ერთმანეთის მსგავსია ალუზიები, ტროპებით შექმნილი ქრისტიანული მსოფლმხედველობის მანიშნებელი ხატები. ჩვენს მიერ განხილულ ლექსებში რელიგიური ყოფის ამსახველი ტროპები ბიბლიურ ალუზიებთან ერთად სამყაროს შესახებ ერთ მთავარ ქრისტიანულ შეხედულებას უკავშირდება: სამყარო ღვთის შექმნილია და ყველაფერი ამ სამყაროში ზეციურს ადიდება თავისი არსებობით. მაგალითად, ნაწყვეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „შემოღამება მთაწმინდაზე“: „*რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფა სერზედ მდგომარეს! /ძირს გამლილს ლამაზ ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა, /და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!*“ (1978, გვ. 171). ამ სტრიქონებით–ნიკოლოზ ბარათაშვილი მთას მიმართავს და არა უშუალოდ ღმერთს, მაგრამ ლექსში გამოყენებული ტროპები ქრისტიანული კონტექსტის მანიშნებელია და მთაც „წმინდაა“. ტროპული მიმართვაში „*ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ*“; პირველი მიმართვა გეოგრაფიულ ადგილს ასახელებს, მეორეს ზებუნებრივი პლანი შემოყავს, ღვთიურს უკავშირდება, ყვავილები სამადლობელს ზეციურს მიართმევენ.

მსგავსი რელიგიური შინაარსის გამოხატველია ტროპები ინგლისელი რომანტიკოსის ს. ქოლრიჯის ლექსშიც: „*To rise before me--Rise, O ever rise, /Rise like a cloud of incense from the arth! /Thou kingly Spirit throned among the hills, /Thou dread ambassador from Earth to Heaven, /Great Hierarch! tell thou the silent sky, /And tell the stars, and tell yon rising sun/ Earth, with her thousand voices, praises*

God.”(Coleridge, 2024). სხვა მსგავსი მაგალითია ს. კოლრიჯის ლექსიდან „ბუნებას“: „*And the sweet fragrance that the wild flower yields/ Shall be the incense I will yield to Thee, Rise like a cloud of incense from the Earth!*“ (1981, გვ. 202) ნ. ბარათაშვილის ტროპის მსგავსად, რობერტ საუთის ლექსში „წმინდა მთა“ ველი შედარებულია ტაძართან: „*For all that vale was like a temple made/ By Nature's hand.*“ (2024) შდრ. ნ. ბარათაშვილთან „ტაბლა“ (1978, გვ. 171).

ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტებში ტროპები ამავე დროს ბიბლიური ალუზიებია და ძირითადად უკავშირდება 148 ე ფსალმუნს „*აქედით უფალსა ქუეყანით ... მთანი და ყოველნი ბორცუნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძუნი*“ (ბიბლია, 2015, ფსალმუნი 150: 7-9), ან სხვა მსგავს ნაწყვეტებს ბიბლიიდან, როგორცაა, მაგალითად, ნაწყვეტი ფსალმუნთა მეთოთხმეტე კანონიდან: „*აკურთხედით უფალსა ყოველნი ქმნულნი მისნი ყოველსა ადგილსა უფლებისა მისისასა, აკურთხევს სული ჩემი უფალსა*“ (ბიბლია, 2015, ფსალმუნი 102: 22). ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსებთან აზრი ერთია, ღმერთია სამყაროს შემოქმედი, მისი ხელია ყველგან და მას აქვს ყველა ქმნილება.

ამ შინაარსობრივი მსგავსების გარდა, ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტებში შეიმჩნევა განსხვავებაც: ნ. ბარათაშვილთან ტროპი უფრო კომპაქტურია, ვიდრე ინგლისელი რომანტიკოსების. ზოგადად, ინგლისელი რომანტიკოსების ტროპების შედარებისას შეიმჩნევა, რომ უილიამ უორდსვორთის, რ, საუთის, ს. კოლრიჯის, ლექსები უფრო დახუნძლულია დეტალებით. ნ. ბარათაშვილის ლექსში სათქმელი უფრო შემჭიდროვებულად გამოითქმება და მეტი სივრცეა სიტყვებს შორის. ეს განსხვავება, „კომპაქტურობა“, ალბათ, ეროვნული ბუნებიდან მომდინარეობს. მსგავსი განსხვავება შეინიშნება ზოგადად ქართული ქრისტიანული ხელოვნების და ინგლისური ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშების შედარებისას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველ და ინგლისელ რომანტიკოს პოეტებთან არის შემთხვევები, როცა ტროპში ფიზიკურის ახსნა ხდება სულიერით, ადამიანის შეგრძნებით. ეს ყველაზე არსებითი მსგავსებაა, რომელიც ვლინდება ტროპში და იგი რომანტიკოსების ესთეტიკიდან მომდინარეობს. ასეთი რამ არ ხდება რომანტიკოსების ყველა ტროპში, მაგრამ ამგვარი, რომანტიზმის ესთეტიკასთან უშუალოდ დაკავშირებული ტროპები გვხვდება სხვადასხვა ქვეყნის რომანტიკოსთა პოეზიაში, მათ შორის ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა პოეზიაში და მათი პოეზიის, მეტაფორის მარკერს ქმნიან. განსხვავებაა ის, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამოხატვისას ქართულ რომანტიკულ ლექსში ტროპი უფრო კომპაქტურია.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბარათაშვილი, ნ. (1978). ქართველი რომანტიკოსები, 169-228. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ბიბლია. (2015). თბილისი: „ალილო“, „ქრონიკონი“, ალექსი შოშიაშვილი
- ნათაძე, მ. და ნათაძე გ. (1988). რა არის ტროპი და როგორაისახება მის ცვლაში ეპოქების ცვლა, 194-259. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა“.
- ჭავჭავაძე, ალ. (1978). ქართველი რომანტიკოსები, 35-137. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- Browning, E.B.(2024). Sonnets from the Portuguese 43: How do I love thee? Let me count the ways. Poetry Foundation. <https://discoverpoetry.com/poems/lord-byron/thunderstorm-on-the-alps/>
- Burns, R. (2013). My Luve is like a Red, Red, Rose. Robert Burns. [BBC – Robert Burns – My Luve is like a Red Red Rose](https://www.bbc.com/culture/article/20130827-my-luvs-like-a-red-red-rose)
- Byron, L. (2024). Thunderstorm on the Alps. Poetry. <https://discoverpoetry.com/poems/lord-byron/thunderstorm-on-the-alps/>
- Coleridge, S.T. (1981). Verse and Prose, Moscow: Progress Publishers.
- Coleridge, S.T.(2024). Hymn before Sun-rise, in the Vale of Chamouni, Poetry Foundation. <https://www.poetryfoundation.org/poems/43988/hymn-before-sun-rise-in-the-vale-of-chamouni>
- Shelley, P.B. (2024). Mont Blanc: Lines Written in the Vale of Chamouni, Poetry Foundation. <https://www.poetryfoundation.org/poems/45130/mont-blanc-lines-written-in-the-vale-of-chamouni>
- Southy, R. (1851). The Complete Poetical Works of Robert Southey. New York: D. Appleton&Company.
- Wales, K. (2014). A Dictionary of Stylistics, London&New York: Routledge Taylor and Frances Group.
- Wordsworth, W. Coleridge, S.T. (1991). Lyrical Ballads. London and New York: Routledge.

References:

- Baratashvili, N.(1978). Kartveli Romantikosebi [Geprgian Romantic Poets]. 169-228. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".
- Biblia. (2015). [Bible]. Tbilisi: Alilo Press. Kronikoni Press. Aleksi Shiolashvili.
- Browning, E.B.(2024). Sonnets from the Portuguese 43: How do I love thee? Let me count the ways. Poetry Foundation.
<https://discoverpoetry.com/poems/lord-byron/thunderstorm-on-the-alps/>
- Burns, R. (2013). My Luve is like a Red, Red, Rose. Robert Burns. BBC – Robert Burns – My Luve is like a Red Red Rose
- Byron, L. (2024). Thunderstorm on the Alps. Poetry.
<https://discoverpoetry.com/poems/lord-byron/thunderstorm-on-the-alps/>
- Chavchavadze, Al. (1978) Kartveli Romantikosebi [Georgian Romantic Poets]. 35-137. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".
- Coleridge, S.T.(2024). Hymn before Sun-rise, in the Vale of Chamouni, Poetry Foundation.
<https://www.poetryfoundation.org/poems/43988/hymn-before-sun-rise-in-the-vale-of-chamouni>
- Coleridge, S.T. (1981). Verse and Prose, Moscow: Progress Publishers.
- Natadze, M.& Natadze, G. (1988). Ra aris tropi da rogor aisakheba mis tsvlashi epokebis tsvla. [What is a trope and how changes of time is reflected in its change].Tbilisi: Tbilisi University Press.
- Shelley, P.B. (2024). Mont Blanc: Lines Written in the Vale of Chamouni,Poetry Foundation.
<https://www.poetryfoundation.org/poems/45130/mont-blanc-lines-written-in-the-vale-of-chamouni>
- Southy, R. (1851).The Complete Poetical Works of Robert Southey. New York: D. Appleton&Company.
- Wales, K. (2014). A Dictionary of Stylistics, London &New York: Routledge Taylor and Frances Group.
- Wordsworth, W. Coleridge, S.T. (1991). Lyrical Ballads. London and New York: Routledge.